## პროგრამის ფორმა

| პროგრამის კლასიფიკაციის კოდი: | პროგრამის დასახელება | პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა |
|---|---|---|
| 06 02 | სოციალური უზრუნველყოფა | ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა |

| პროგრამის განმახორციელებელი: | ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური | პროგრამის ბიუჯეტი | 2023 წლის დაფინანსება (ლარი) | 2024 წლის დაფინანსება (ლარი) | 2025 წლის დაფინანსება (ლარი) | 2026 წლის დაფინანსება (ლარი) |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | 16 800 906 | 16 599 900 | 17 115 200 | 18 047 300 |

| | |
|---|---|
| პროგრამის მიზანი | საზოგადოების ცალკეული კატეგორიების სოციალური პირობების გაუმჯობესება და მუნიციპალურ და კომუნალურ სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა |
| პროგრამის აღწერა | ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საშუალოვადიან პრიორიტეტს წარმოადგენს სოციალური უზრუნველყოფის მიმართულებით მოქალაქეთა თანასწორობის უზრუნველყოფა. ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტი თანხვედრაში მოდის საქართველოს მთავრობის პრიორიტეტულ მიმართულებებთან და მიმართულია სოციალურად დაუცველი ოჯახების, საზოგადოების მოწყვლადი ჯგუფების და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების საბაზისო სოციალური გარანტიებით, მინიმალური სტანდარტებით და მიზნობრივი სოციალური დახმარებით უზრუნველყოფისკენ. ქ. ბათუმის მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის ღონისძიებები ძირითადად ხორციელდება ცენტრალური ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების ფარგლებში, თუმცა რჩება სოციალური უზრუნველყოფის მომსახურეობის ნაწილი, რომლის დაფინანსება აუცილებელია განხორციელდეს, როგორც ადგილობრივი თვითმმართველობის საკუთარი უფლებამოსილებიდან, ასევე მოსახლეობის მოწყვლადი ჯგუფების საჭიროებებიდან და გადაუდებელი აუცილებლობიდან გამომდინარე ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით, რაც ძირითადად უზრუნველყოფილია სოციალური დაცვის მიზნობრივი ქვეპროგრამებით. პროგრამა უზრუნველყოფს ქალაქის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის მოწყვლადი კატეგორიებისათვის (მკვეთრად გამოხატულ შშმ პირები და შშმ სტატუსის ბავშვები, ვეტერანები, მათთან გათანაბრებული პირები, ომში დაღუპულთა ოჯახის წევრები და მარჩენალდაკარგულები, სოციალურად დაუცველები, მრავალშვილიანი ოჯახები (5 და მეტი შვილი), მარტოხელა მშობლები და მათი შვილები და სხვები) სხვადასხვა სახის სერვისების მიწოდებას და მატერიალური დახმარებების გაწევას, კერძოდ: ხორციელდება კომუნალური მომსახურების საფასურის სუბსიდირება (წყლისა და კანალიზაციის, დასუფთავებისათვის მოსაკრებლის, სატელეფონო-სააბონენტო გადასახადის დაფარვა, გაზიფიცირების - ბუნებრივი აირის მილგაყვანილობისა და მრიცხველის სამონტაჟო სამუშაოების ღირებულების 90%-ის თანადაფინანსება, თხევადი აირის ტალონით დახმარება), მატერიალური დახმარებით უზრუნველყოფა, მუნიციპალური ტრანსპორტით მგზავრობის საფასურის სუბსიდირება, მრავალშვილიანი ოჯახების საცხოვრებელი ბინებით უზრუნველყოფის შემთხვევაში სარემონტო სამუშაოების ანაზღაურების უზრუნველყოფა, მზრუნველობასმოკლებულ და უპოვარ ბენეფიციართა მოვლა-პატრონობა (თავშესაფრით, სამედიცინო მომსახურებითა და კვებით უზრუნველყოფა), მოვლის საჭიროების მქონე პირთა ბინაზე მომსახურეობა (სამედიცინო და სოციალური სერვისების მიწოდება), უფასო კვებით უზრუნველყოფა (ყოველდღიურად დღეში ერთჯერ ცხელი საკვებით დაკმაყოფილება), ბენეფიციარებთა, რომლებსაც არ გააჩნიათ საარსებო წყარო და საცხოვრებელი, დროებითი ღამის თავშესაფრით უზრუნველყოფა, ბენეფიციართა მინიმალური საყოფაცხოვრებო სტანდარტებით დაკმაყოფილება ( საყოფაცხოვრებო ნივთებისა და სარემონტო მასალების შეძენა). |
| პროგრამის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი | გაზრდილია მუნიციპალურ და კომუნალურ სერვისებზე ხელმისაწვდომობა და გაუმჯობესებულია საზოგადების ცალკეული კატეგორიების სოციალური პირობები. შემცირებულია მოსახლეობის სიღარიბით, ხანდაზმულობით და შეზღუდული შესაძლებლობებით გამოწვეული სოციალური რისკები. |

| № | საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი | ინდიკატორის მაჩვენებლები | | | | | ცდომილების ალბათობა (%/შესაძლო რისკები - აღწერა) |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | საბაზისო 2022 წელი | მიზნობრივი 2023 წელი | მიზნობრივი 2024 წელი | მიზნობრივი 2025 წელი | მიზნობრივი 2026 წელი | |
| 1 | სოციალური სერვისების მიმღებ ბენეფიციართა რაოდენობა | 35 600 | 37 520 | 37 520 | 37 520 | 37 520 | 3% - მომართვიანობის ცვლილება |
| 2 | სოციალური შეღავათების სერვისების რაოდენობა | 14 | 14 | 14 | 14 | 14 | 5% - მომართვიანობის ცვლილება |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 3 | მატერიალური დახმარების მიმღებ ბენეფიციართა რაოდენობა | 2 280 | 5 307 | 5 307 | 5 307 | 5 307 | 3% - მომართვიანობის ცვლილება |
| 4 | სოციალური უზრუნველყოფის პროგრამაში ჩართული მოსახლეობის პროცენტული მაჩვენებელი | 85% | 85% | 85% | 85% | 85% | 5% - მომართვიანობის ცვლილება |

## ქვეპროგრამის ფორმა

| ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი: | ქვეპროგრამის დასახელება | პროგრამის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა |
|---|---|---|
| 06 02 01 | კომუნალური მომსახურების საფასურის სუბსიდირება | სოციალური უზრუნველყოფა |

| ქვეპროგრამის განმახორციელებელი: | ქ. ბათუმის მუნციპალიტეტის მერია, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური | ქვეპროგრამის ბიუჯეტი | 2023 წლის დაფინანსება (ლარი) | 2024 წლის დაფინანსება (ლარი) | 2025 წლის დაფინანსება (ლარი) | 2026 წლის დაფინანსება (ლარი) |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | 832 300 | 1 043 300 | 948 700 | 948 700 |

| | |
|---|---|
| ქვეპროგრამის მიზანი | მოწყვლადი ჯგუფების ძირითადი კომუნალური მომსახურებით უზრუნველყოფა |
| ქვეპროგრამის აღწერა | ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საშუალოვადიან პრიორიტეტს წარმოადგენს მოწყვლადი სოციალური კატეგორიისათვის სოციალური თანასწორობის უზრუნველყოფა. ამ მიმართულებით მნიშვნელოვანია შესაბამისი კატეგორიის მოსახლეობისათვის კომუნალური, სატელეფონო-სააბონენტო გადასახადებისა და გაზიფიცირების მონტაჟის საფასურიდან გათავისუფლება, რაც გარკვეულწილად გააუმჯობესებს მათ მატერიალურ მდგომარეობას. აქედან გამომდინარე, შემუშავებული იქნა კომუნალური მომსახურების საფასურის სუბსიდირების ქვეპროგრამა.<br>სოციალური უზრუნველყოფის მიმართულებით, ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია შემდეგი ღონისძიებები:<br>1. მკვეთრად გამოხატული შშმ პირების, მათ შორის შშმ სტატუსის ბავშვების; ვეტერანების, მათთან გათანაბრებული პირების, ომში დაღუპულთა ოჯახის წევრების და მარჩენალდაკარგულების; 0-დან 70000 ქულის მქონე სოციალურად დაუცველი პირების, მრავალშვილიანი ოჯახების (5 და მეტი შვილი), მარტოხელა მშობლების (მარტოხელა დედა / მარტოხელა მამა) და მათი შვილების ყოველთვიურად წყლისა და კანალიზაციის საფასურის (ერთეულის ფასი - 2,6255 ლარი) საქართველოს ენერგეტიკისა და და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2021 წლის 30 დეკემბრის #74 დადგენილებით და დასუფთავების მოსაკრებლის (ერთეულის ფასი - 1,30 ლარი) უზრუნველყოფა. ქალაქ ბათუმის საკრებულოს 2016 წლის 29 იანვრის #3 დადგენილებით იმ ფიზიკური პირებისათვის, რომელთა ოჯახის სარეიტინგო ქულა 70001-მდეა. მოსაკრებლის განაკვეთი ერთ სულ მოსახლეზე განისაზღვრა 1,00 ლარით, ოჯახის წევრთა რაოდენობის მიუხედავად, სულადობის მაქსიმალური ზღვრული ოდენობა განისაზღვრა 4 სულით;<br>2. მკვეთრად გამოხატული შშმ პირების, მათ შორის შშმ სტატუსის ბავშვების; ვეტერანების, მათთან გათანაბრებული პირების, ომში დაღუპულთა ოჯახის წევრების და მარჩენალდაკარგულების ყოველთვიურად სატელეფონო-სააბონენტო გადასახადის დავალიანების (ერთეულის ფასი - არაუმეტეს 5 ლარისა) დაფარვით უზრუნველყოფა;<br>3. მკვეთრად გამოხატული შშმ პირის, მათ შორის შშმ სტატუსის ბავშვების; ვეტერანების, მათთან გათანაბრებული პირების, ომში დაღუპულთა ოჯახის წევრების და მარჩენალდაკარგულების; 0-დან 70000 ქულის მქონე სოციალურად დაუცველი ოჯახის გაზიფიცირებით უზრუნველყოფა - კერძოდ, ბუნებრივი აირის მილგაყვანილობისა და მრიცხველის სამონტაჟო სამუშაოების ღირებულების 90%-ის თანადაფინანსება ერთი წერტილის გათვალისწინებით გაზქურამდე;<br>4. ვეტერანის, მათთან გათანაბრებული პირების, ომში დაღუპულთა ოჯახის წევრების და მარჩენალდაკარგულებისათვის ყოველთვიურად 5 კგ თხევადი აირის შეძენა, რომელთაც არა აქვთ შეყვანილი ბუნებრივი აირი საცხოვრებელ ფართში. |
| ქვეპროგრამის მოსალოდნელი შუალედური შედეგი | მოწყვლადი ჯგუფები უზრუნველყოფილნი არიან ძირითადი კომუნალური სერვისებით |

| № | მოსალოდნელი შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი | ინდიკატორის მაჩვენებლები | | ცდომილების ალბათობა (%/შესაძლო რისკები - აღწერა) |
|---|---|---|---|---|
| | | საბაზისო 2022 წელი | მიზნობრივი 2023 წელი | |
| 1 | სოციალური სერვისების მიმღებ ბენეფიციართა რაოდენობა | 16 050 | 19 600 | 20% - მომართვიანობის ვარირება |
| 2 | სერვისების რაოდენობა, რომელზეც ვრცელდება სოციალური შეღავათები | 5 | 5 | 15% - მომართვიანობის ვარირება |

| № | ღონისძიების დასახელება | პროდუქტები | | | სულ (ლარი) | მათ შორის: | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | განზომილება | რაოდენობა | ერთეულის საშუალო ფასი | | საბიუჯეტო სახსრები | საკუთარი სახსრები |
| 1 | **წყლისა და კანალიზაციის გადასახადის დაფარვა** | | **19 600** | | **415 110** | **415 110** | |
| | მკვეთრად გამოხატული შშმ პირი და შშმ სტატუსის ბავშვი | ბენეფიციარი | 2 200 | 31 | 67 249 | 67 249 | |
| | ვეტერანი, მათთან გათანაბრებული პირი, ომში დაღუპულთა ოჯახის წევრები და მარჩენალდაკარგულები | ბენეფიციარი | 1 900 | 32 | 59 861 | 59 861 | |
| | 0-70000 ქულის მქონე სოციალურად დაუცველი, მრავალშვილიანი ოჯახები (5 და მეტი შვილი), მარტოხელა მშობლები და მათი შვილები | ბენეფიციარი | 15 500 | 19 | 288 000 | 288 000 | |
| 2 | **დასუფთავებისათვის მოსაკრებლის გადასახადის დაფარვა** | | **18 600** | **15** | **236 370** | **236 370** | |
| | მკვეთრად გამოხატული შშმ პირი და შშმ სტატუსის ბავშვი | ბენეფიციარი | 2 200 | 15 | 31 590 | 31 590 | |
| | ვეტერანი, მათთან გათანაბრებული პირი, ომში დაღუპულთა ოჯახის წევრები და მარჩენალდაკარგულები | ბენეფიციარი | 1 900 | 15 | 30 780 | 30 780 | |
| | 0-70000 ქულის მქონე სოციალურად დაუცველი, მრავალშვილიანი ოჯახები (5 და მეტი შვილი), მარტოხელა მშობლები და მათი შვილები | ბენეფიციარი | 14 500 | 12 | 174 000 | 174 000 | |
| 3 | **სატელეფონო-სააბონენტო გადასახადის დაფარვა** | | **830** | **60** | **49 800** | **49 800** | |
| | მკვეთრად გამოხატული შშმ პირი და შშმ სტატუსის ბავშვი | ბენეფიციარი | 230 | 60 | 13 800 | 13 800 | |
| | ვეტერანები, მათთან გათანაბრებული პირები, ომში დაღუპულთა ოჯახის წევრები და მარჩენალდაკარგულები | ბენეფიციარი | 600 | 60 | 36 000 | 36 000 | |
| 4 | **გაზიფიცირების - ბუნებრივი აირის მილგაყვანილობისა და მრიცხველის სამონტაჟო სამუშაოების ღირებულების 90%-ის თანადაფინანსება ერთი წერტილის გათვალისწინებით გაზქურამდე** | | **135** | **720** | **97 200** | **97 200** | |
| | მკვეთრად გამოხატული შშმ პირები და შშმ სტატუსის ბავშვები | ბენეფიციარი | 30 | 720 | 21 600 | 21 600 | |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | ვეტერანები, მათთან გათანაბრებული პირები, ომში დაღუპულთა ოჯახის წევრები და მარჩენალდაკარგულები | ბენეფიციარი | 60 | 720 | 43 200 | 43 200 | |
| | 0-70000 ქულის მქონე სოციალურად დაუცველი პირები | ბენეფიციარი | 45 | 720 | 32 400 | 32 400 | |
| 5 | **ვეტერანების, მათთან გათანაბრებული პირების, ომში დაღუპულთა ოჯახის წევრების და მარჩენალდაკარგულების თხევადი აირის ტალონით დახმარება** | **ბენეფიციარი** | **125** | **271** | **33 820** | **33 820** | |
| სულ ქვეპროგრამა | | | | | **832 300** | **832 300** | **0** |

| № | დამატებითი ინფორმაცია |
|---|---|
| 1 | 1. წყლის, კანალიზაციისა და სანდასუფთავების გადასახადზე შეღავათების გავრცელება განხორციელდება ყოველთვიურად ს(ს)იპ საქართველოს სოციალური მომსახურეობის სააგენტოს მიერ მოწოდებული ქ. ბათუმში რეგისტრირებული მკვეთრად გამოხატული შშმ პირების და შშმ სტატუსის ბავშვების, ქ. ბათუმში რეგისტრირებულ 0-70000 ქულის მქონე სოციალურად დაუცველი ოჯახების სიების, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურში აღრიცხვაზე მყოფი მარტოხელა მშობლების (მარტოხელა დედა / მარტოხელა მამა) და მათი შვილების, მრავალშვილიანი (5 და მეტი შვილი) ოჯახების სიების და ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის მიერ მოწოდებული ვეტერანების, მათთან გათანაბრებული პირების, ომში დაღუპულთა ოჯახის წევრების და მარჩენალდაკარგულების სიების საფუძველზე. ღონისძიებებში მითითებული ბენეფიციართა რაოდენობა წარმოადგენს წლის განმავლობაში ქვეპროგრამით მოსარგებლე ბენეფიციართა საშუალო საორიენტაციო რაოდენობას, რომელიც ყოველთვიურად შეიძლება შეიცვალოს/დაზუსტდეს სოციალური მომსახურების სააგენტოს და საქართველოს ვეტერანთა სამსახურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე ბენეფიციართა ფაქტიური რაოდენობის მიხედვით. აქედან გამომდინარე, მოსარგებლე ბენეფიცირთა წყლისა და კანალიზაციის საფასურის და დასუფთავებისათვის მოსაკრებლის დაფარვა ყოველთვიურად მოხდება იდენტიფიცირებულ ბენეფიციართა  ფაქტიური რაოდენობის მიხედვით და ერთეულის ფასის გათვალისწინებით პროგრამული ბიუჯეტის ცვლილების გარეშე. იმ შემთხვევაში თუ ბენეფიციარის წყლის აღრიცხვიანობა ხორციელდება მრიცხველის საშუალებით, მას დაეფარება 5,15 კბ.მ გახარჯული წყლის საფასური, რომელიც შეადგენს 2,6255 ლარს, მითითებულ რაოდენობაზე მეტი ხარჯი დაიფარება ბენეფიციარის მიერ. |
| 2 | 2. სატელეფონო-სააბონენტო გადასახადის გადახდაზე შეღავათის მისაღებად წარმოსადგენი საჭირო დოკუმენტაცია: განცხადება, პირადობის დამადასტურებელი მოწმობა, ცნობა სოციალური მომსახურეობის სააგენტოდან მკვეთრად გამოხატული შშმ პირის, შშმ სტატუსის ბავშვის შესახებ ან ვეტერანის მოწმობა და ცნობა სატელეფონო კომპანიიდან აღნიშნული ბენეფიციარის აბონენტად რეგისტრაციის შესახებ. შშმ სტატუსის ბავშვის შემთხვევაში ერთ-ერთი მშობლის პირადობის მოწმობა, შშმ სტატუსის ბავშვის დაბადების მოწმობა  და მშობლის სახელზე გაფორმებული აბონენტის რეგისტრაციის ცნობა. |
| 3 | საცხოვრებელი ფართის გაზიფიცირების დროს წარმოსადგენი საჭირო დოკუმენტაცია: ა) ქვეპროგრამით მოსარგებლის დამადასტურებელი საბუთი (ვეტერანი, შშმ პირი, შშმ სტატუსის ბავშვი, სოციალურად დაუცველი);<br>ბ) პირადობის მოწმობის ასლი;<br>გ) ბუნებრივი აირის მოწყობილობის მონტაჟის ხელშეკრულება (განაცხადი);<br>დ) ინვოისი;<br>ე) მომსახურეობის 10%-ის - 80 ლარის გადახდის დამადასტურებელი საბუთი.<br>ვ) საკუთრების დამადასტურებელი ამონაწერი საჯარო რეესტრიდან.<br>შშმ სტატუსის ბავშვის შემთხვევაში ერთ-ერთი მშობლის პირადობის მოწმობა, შშმ სტატუსის ბავშვის დაბადების მოწმობა  და მშობლის სახელზე გაფორმებული ხელშეკრულება ბუნებრივი აირის შემყვან კომპანიასთან. 2023 წელს პროგრამის ფარგლებში გაზიფიკაციის ვაუჩერი დაუფინანსდება იმ 0-70000 ქულის ჩათვლით მქონე სოციალურად დაუცველ პირებს, მკვეთრად გამოხატული შშმ პირებს, შშმ სტატუსის მქონე ბავშვებს,  ვეტერანებს და მათთან გათანაბრებულ პირებს, რომლებსაც 2022 წლის ოქტომბერ -დეკემბერში ბუნებრივი აირის შემყვან კომპანიასთან  ჰქონდათ გაფორმებული ხელშეკრულება და მიუხედავად ამისა ვერ მოხერხდა მათი საცხოვრებელი ფართის გაზიფიცირების დაფინანსება. 2022  წელს გათვალისწინებული მომსახურება განხორციელდება  ვაუჩერის საშუალებით. ვაუჩერის გაცემის, გამოყენების წესს და ქვეპროგრამის ღონისძიებასთან დაკავშირებულ სხვა პროცედურებს საჭიროების შემთხვევაში განსაზღვრავს ქ. ბათუმის მერი. შშმ პირები, ომის ვეტერანები, მათთან გათანაბრებული პირები, ომში დაღუპულთა ოჯახის წევრები და მარჩენალდაკარგულები რეგისტრირებული უნდა იყვნენ ქ. ბათუმში 2023 წლის პირველ იანვრამდე. სოციალურად დაუცველ პირებს სარეიტინგო ქულები (0-70000) მინიჭებული უნდა ჰქონდეთ ქ. ბათუმში.<br>ღირებულების 90%-ს - 720 (შვიდას ოცი) ლარის ოდენობით ანაზღაურებს ქ. ბათუმის მერია, ხოლო 10% - 80 ლარის ოდენობით გადახდილი უნდა იქნას ბენეფიციარის მიერ ახალი მომხმარებლის გამანაწილებელ ქსელზე მიერთების შესახებ განცხადების წარდგენამდე. |
| 4 | საჭიროების შემთხვევაში ღონისძიებებს  შორის თანხა შეიძლება გადანაწილდეს |

## ქვეპროგრამის ფორმა

| ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი: | ქვეპროგრამის დასახელება | პროგრამის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა |
|---|---|---|
| 06 02 02 | მოწყვლადი სოციალური კატეგორიების მატერიალური დახმარებით უზრუნველყოფა | სოციალური უზრუნველყოფა |

| ქვეპროგრამის განმახორციელებელი: | ქ. ბათუმის მუნციპალიტეტის მერია, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური | ქვეპროგრამის ბიუჯეტი | 2023 წლის დაფინანსება (ლარი) | 2024 წლის დაფინანსება (ლარი) | 2025 წლის დაფინანსება (ლარი) | 2026 წლის დაფინანსება (ლარი) |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | 3 886 200 | 3 231 500 | 3 231 500 | 3 231 500 |

| | |
|---|---|
| ქვეპროგრამის მიზანი | მოწყვლადი სოციალური კატეგორიებისათვის მატერიალური მხარდაჭერა |
| ქვეპროგრამის აღწერა | unicefi- ს რეკომენდაციების შესაბამისად მოწყვლადი კატეგორიებისათვის კეთილდღეობის კვლევის ანალიზის მიხედვით ცხოვრების დონის ამაღლებაზე ყველაზე ეფექტურად მოქმედებს მიზნობრივი მატერიალური დახმარებები. აქედან გამომდინარე, შემუშავებული იქნა მოწყვლადი სოციალური კატეგორიების მატერიალური დახმარებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამა, რომელსაც აქტუალურობიდან და მოსახლეობის მოწყვლადი კატეგორიის მოთხოვნიდან გამომდინარე ემატება ორი ღონისძიება; 18 წლამდე შშმ პირთა ყოველთვიური მატერიალური დახმარება და 30000-მდე ქულის მქონე ოჯახების კომუნალური გადასახადების სუბსიდირება ნოემბერ-დეკემბრის განმავლობაში. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ქვეპროგრამის ფარგლებში, მატერიალური დახმარება გაეწევა:<br>1. სამშობლოს წინაშე ღვაწლმოსილ პირებს, კერძოდ: ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანებს სადღესასწაულო დღეებთან დაკავშირებით, კერძოდ: 15 თებერვალს - სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიაზე ბრძოლებში დაინვალიდებულ ვეტერანებს; 9 მაისსთან დაკავშირებით - II მსოფლიო ომის ვეტერანებს და II მსოფლიო ომში დაღუპული პირის ოჯახის წევრებს; 27 სექტემბერთან დაკავშირებით საქ. ტერ. მთ. ბრძოლებში დაღუპულთა ოჯახის წევრებსა და დაინვალიდებულ ვეტერანებს. ახალ წელთან დაკავშირებით - სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიაზე ბრძოლებში დაინვალიდებულ ვეტერანებს, საქ. ტერ. მთ. ბრძოლებში დაღუპულთა ოჯახის წევრებსა და დაინვალიდებულ ვეტერანებს, II მსოფლიო ომის ვეტერანებს და II მსოფლიო ომში დაღუპულთა ოჯახის წევრებს.<br>2. შვილის შეძენასთან დაკავშირებით 0-დან 100 001- მდე ქულის მქონე ოჯახებს.<br>3. გარდაცვლილი ვეტერანის (ომის მონაწილე) და სოციალურად დაუცველი გარდაცვლილი პირის 0-70000 სარეიტინგო ქულის მქონე ოჯახის წევრებს.<br>4. მოხდება ეტლით მოსარგებლე შშმპ სტატუსის მქონე სტუდენტების სატრანსპორტო ხარჯების სუბსიდირება.<br>5. მატერიალური დახმარების გაცემა 0-70000-მდე სარეიტინგო ქულის მქონე 3-შვილიან ოჯახებზე, 0-70000-მდე სარეიტინგო ქულის მქონე 4-შვილიან ოჯახებზე , 0-70000-მდე სარეიტინგო ქულის მქონე 5 და მეტი შვილიან ოჯახებზე, უდედმამო ბავშვების ყოველთვიური დახმარება, , მარტოხელა მშობლების ყოველთვიური დახმარება, 0-დან 100 000 ქულის მქონე ოჯახებს ბავშვთა მოვლის საშუალებების შესაძენად ყოველთვიური დახმარება ყოველ ერთ წლამდე.<br>6.18 წლის ასაკის ჩათვლით შშ მქონე მოვლის საჭიროების მქონე პირთა მატერიალური დახმარება.<br>7. სოციალურად დაუცველი ოჯახების (0-100000 ქულის მქონე) ყოველი ერთი წლიდან ორ წლამდე ასაკის ბავშვზე ყოველთვიური მატერიალური დახმარების გაწევა.<br>8. 18 წლამდე შშმ პირთა ყოველთვიური მატერიალური დახმარება.<br>9. 30000-მდე ქულის მქონე ოჯახების კომუნალური გადასახადების სუბსიდირება 5 თვის განმავლობაში. |
| ქვეპროგრამის მოსალოდნელი შუალედური შედეგი | მოწყვლადი სოციალური კატეგორიები უზრუნველყოფილნი არიან მატერიალური დახმარებით |

| № | მოსალოდნელი შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი | ინდიკატორის მაჩვენებლები | | ცდომილების ალბათობა (%/შესაძლო რისკები - აღწერა) |
|---|---|---|---|---|
| | | საბაზისო 2022 წელი | მიზნობრივი 2023 წელი | |
| 1 | ვეტერანთა რაოდენობა, რომლებსაც სადღესასწაულო დღეებში გაეწევათ მატერიალური დახმარება | 125 | 125 | 5% - მომართვიანობის ცვლილება |
| 2 | შვილის შეძენასთან დაკავშირებით სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის მატერიალური დახმარების გაწევა (800 ლარი) | 120 | 150 | 10% - მომართვიანობის ცვლილება |
| 3 | გარდაცვლილ ვეტერანთა (ომის მონაწილე) და სოციალურად დაუცველ პირთა ოჯახის წევრის რაოდენობა, რომელთაც გაეწევათ მატერიალური დახმარება | 110 | 110 | 5% - მომართვიანობის ცვლილება |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 4 | ეტლით მოსარგებლე შშმ სტატუსის მქონე სტუდენტების სატრანსპორტო ხარჯების სუბსიდირება | 2 | 2 | 50% - მომართვიანობის ცვლილება |
| 5 | სოციალურად დაუცველი, მრავალშვილიანი ოჯახების, ბათუმში რეგისტრირებულ ძალადობის მსხვერპლ ბენეფიციართათვის, უდედმამო ბავშვებისა და მარტოხელა მშობლების ყოველთვიური მატერიალური დახმარების გაწევა | 1 890 | 2 612 | 10% - მომართვიანობის ცვლილება |
| 6 | 18 წლამდე შშმ პირთა ყოველთვიური მატერიალური დახმარება 50 ლარის ოდენობით | 950 | 950 | 5% - მომართვიანობის ცვლილება |
| 7 | 0-30001-მდე ქ. ბათუმის სარეიტინგო ქულების მქონე ოჯახების კომუნალური გადასახადების სუბსიდირება (იანვარი-მარტი, ნოემბერ-დეკემბერი) (30 ლარი ყოველთვიურად) | 1 850 | 1 850 | 5% - მომართვიანობის ცვლილება |

| № | ღონისძიების დასახელება | პროდუქტები | | | სულ (ლარი) | მათ შორის: | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | განზომილება | რაოდენობა | ერთეულის საშუალო ფასი | | საბიუჯეტო სახსრები | საკუთარი სახსრები |
| 1 | **სადღესასწაულო დღეებში ვეტერანებზე (ომის მონაწილეები და ომში დაღუპულთა ოჯახის წევრები) მატერიალური დახმარების გაწევა** | | **250** | **597** | **149 200** | **149 200** | |
| | 15 თებერვალი - სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიაზე ბრძოლებში დაინვალიდებული ვეტერანები | ბენეფიციარი | 4 | 400 | 1 600 | 1 600 | |
| | 9 მაისი - II მსოფლიო ომის მონაწილეები და II მსოფლიო ომში დაღუპულთა ოჯახის წევრები | ბენეფიციარი | 36 | 600 | 21 600 | 21 600 | |
| | 27 სექტემბერი - საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ბრძოლებში დაღუპულთა ოჯახის წევრები და ინვალიდები | ბენეფიციარი | 85 | 600 | 51 000 | 51 000 | |
| | ახალ წელთან დაკავშირებით - სხვა სახელმწიფო ტერიტორიაზე ბრძოლებში დაინვალიდებული ვეტერანები;საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ბრძოლებში დაღუპულთა ოჯახის წევრები და დაინვალიდებული ვეტერანები; II მსოფლიო ომის მონაწილეები და II მსოფლიო ომში დაღუპულთა ოჯახის წევრები. | ბენეფიციარი | 125 | 600 | 75 000 | 75 000 | |
| 2 | **შვილის შეძენასთან დაკავშირებით სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის მატერიალური დახმარების გაწევა (800 ლარი)** | **ბენეფიციარი** | **150** | **800** | **120 000** | **120 000** | |
| 3 | **ვეტერანთა (ომის მონაწილე) და სოციალურად დაუცველ პირთა გარდაცვალების შემთხვევაში მათ ოჯახებზე ერთჯერადი მატერიალური დახმარების გაწევა (500 ლარი)** | **ბენეფიციარი** | **110** | **500** | **55 000** | **55 000** | |
| | გარდაცვლილი ვეტერანი (ომის მონაწილე) | ბენეფიციარი | 30 | 500 | 15 000 | 15 000 | |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | გარდაცვლილი სოციალურად დაუცველი (0-70000 ქულის მქონე) პირი | ბენეფიციარი | 80 | 500 | 40 000 | 40 000 | |
| **4** | **ეტლით მოსარგებლე შშმ სტატუსის მქონე სტუდენტების სატრანსპორტო ხარჯების სუბსიდირება** | **ბენეფიციარი** | **2** | **1670** | **3 340** | **3 340** | |
| **5** | **სსიპ ქ. ბათუმის #13 და #17 საჯარო სკოლების სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისათვის ტრანსპორტით უზრუნველყოფის სუბსიდირება** | **ბენეფიციარი** | **22** | **2089** | **45 960** | **45 960** | |
| **6** | **სოციალურად დაუცველი, მრავალშვილიანი ოჯახების, უდედმამო ბავშვებისა და  მარტოხელა მშობლების ყოველთვიური მატერიალური დახმარების გაწევა** | | **3 469** | **1013** | **3 512 700** | **3 512 700** | |
| | 0-70000-მდე სარეიტინგო ქულის მქონე სამშვილიანი ოჯახების ყოველთვიური დახმარება 100 ლარის ოდენობით | ბენეფიციარი | 450 | 1200 | 540 000 | 540 000 | |
| | 0-70000-მდე სარეიტინგო ქულის მქონე ოთხშვილიანი ოჯახების ყოველთვიური დახმარება 120 ლარის ოდენობით | ბენეფიციარი | 100 | 1440 | 144 000 | 144 000 | |
| | 0-70000-მდე სარეიტინგო ქულის მქონე ხუთი და მეტშვილიანი ოჯახების ყოველთვიური დახმარება 180 ლარის ოდენობით | ბენეფიციარი | 40 | 2160 | 86 400 | 86 400 | |
| | ხუთი და მეტშვილიანი ოჯახების ყოველთვიური დახმარება 150 ლარის ოდენობით | ბენეფიციარი | 42 | 1800 | 75 600 | 75 600 | |
| | უდედმამო ბავშვების ყოველთვიური დახმარება 300 ლარის ოდენობით | ბენეფიციარი | 30 | 3600 | 108 000 | 108 000 | |
| | 30  წლის ასაკის ჩათვლით შშ მქონე მოვლის საჭიროების  მქონე პირთა მატერიალური დახმარება (60 ლარი) | ბენეფიციარი | 350 | 720 | 252 000 | 252 000 | |
| | ქ. ბათუმში რეგისტრირებულ ძალადობის მსხვერპლ ბენეფიციართათვის  მატერიალური დახმარება (ყოველთვიური 300 ლარი) | ბენეფიციარი | 15 | 3600 | 54 000 | 54 000 | |
| | მარტოხელა მშობლების (პირი, რომლის არასრულწლოვანი შვილის მეორე მშობელი გარდაცვლილია, გამოცხადებულია გარდაცვლილად ან აღიარებულია უგზო-უკვლოდ დაკარგულად) ყოველთვიური დახმარება 60 ლარის ოდენობით | ბენეფიციარი | 700 | 60 | 504 000 | 504 000 | |
| | მარტოხელა მშობლების (პირი, რომელსაც ჰყავს 18 წლამდე ასაკის შვილი და ბავშვის დაბადების აქტის ჩანაწერში არ არის შეტანილი ჩანაწერი ბავშვის მეორე მშობლის შესახებ) ყოველთვიური დახმარება 120 ლარის ოდენობით | ბენეფიციარი | 350 | 1440 | 504 000 | 504 000 | |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | სოციალურად დაუცველი ოჯახების (0-100000 ქულის მქონე) ყოველ ერთ წლამდე ასაკის ბავშვზე ყოველთვიური მატერიალური დახმარების გაწევა (90 ლარი) | ბენეფიციარი | 200 | 1080 | 216 000 | 216 000 | |
| | სოციალურად დაუცველი ოჯახების (0-100000 ქულის მქონე) ყოველი ერთი წლიდან ორ წლამდე ასაკის ბავშვზე ყოველთვიური მატერიალური დახმარების გაწევა (50 ლარი) | ბენეფიციარი | 280 | 600 | 168 000 | 168 000 | |
| | 18 წლამდე შშმ პირთა ყოველთვიური  მატერიალური დახმარება 50 ლარის ოდენობით | ბენეფიციარი | 900 | 600 | 540 000 | 540 000 | |
| | რეინტეგრირებული ოჯახებისათვის (საჭიროებიდან გამომდინარე)  ბინის ქირით უზრუნველყოფა  300 ლარის ოდენობით | ბენეფიციარი | 12 | 3600 | 43 200 | 43 200 | |
| | 0-30001-მდე ქ. ბათუმის სარეიტინგო ქულების  მქონე ოჯახების კომუნალური გადასახადების სუბსიდირება (იანვარი-მარტი, ნოემბერ-დეკემბერი) (30 ლარი ყოველთვიურად) | ოჯახი | 1 850 | 150 | 277 500 | 277 500 | |
| სულ ქვეპროგრამა | | | | | **3 882 860** | **3 886 200** | **0** |

| № | დამატებითი ინფორმაცია |
|---|---|
| 1 | 1. შვილის შეძენასთან დაკავშირებით მატერიალურ დახმარებას მიიღებენ ის ოჯახები, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან (ორივე  ან ერთ-ერთი მშობელი) ქ. ბათუმში 2023 წლის პირველ იანვრამდე და ქ. ბათუმის სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ბაზაში, აქვთ სარეიტინგო ქულა 0-დან 100 000-ის ჩათვლით. 2023 წლის ქვეპროგრამის ფარგლებში, ერთჯერადი მატერიალური დახმარება გაეწევა აგრეთვე იმ 0-დან 100 000-მდე სარეიტინგო ქულის მქონე ოჯახებს, რომლებსაც ახალშობილი შეეძინათ 2022 წლის ნოემბერ-დეკემბერში და არ უსარგებლიათ დახმარებით. მათ  დახმარება გაეწევათ 2022 წლის ტარიფით და ქვეპროგრამის პირობებით. თანხის ჩარიცხვა განხორციელდება ერთ-ერთი მშობლის ანგარიშზე.<br>საჭირო დოკუმენტაცია: განცხადება; ორივე მშობლის პირადობის მოწმობა; ქორწინების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და ბავშვების დაბადების მოწმობები; საბანკო რეკვიზიტი; ამონაწერი სოციალური მომსახურეობის სააგენტოდან სარეიტინგო ქულების მითითებით. |
| 2 | 2. სოციალურად დაუცველი ბენეფიციარის და ვეტერანის გარდაცვალების შემთხვევაში ერთჯერადი მატერიალური დახმარების გასაწევად საჭიროა შემდეგი დოკუმენტაცია: განცხადება, განმცხადებლის პირადობის დამადასტურებელი მოწმობა, გარდაცვალების მოწმობა, ამონაწერი სოციალური მომსახურეობის სააგენტოდან სარეიტინგო ქულების შესახებ ან ვეტერანის მოწმობა, საბანკო რეკვიზიტი. საჭიროების შემთხვევაში განმცხადებელმა უნდა წარმოადგინოს გარდაცვლილ ბენეფიციარზე გაწეული ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტაცია (ინვოისი,ზედნადები). 2023 წელს პროგრამის ფარგლებში ერთჯერადი მატერიალური დახმარება აგრეთვე გაეწევა 2022 წლის ნოემბერ-დეკემბერში გარდაცვლილი 0-დან - 70 000 ქულის მქონე სოციალურად დაუცველი და გარდაცვლილი ვეტერანის ოჯახს, რომელთაც არ უსარგებლიათ აღნიშნული მატერიალური დახმარებით, ხოლო დახმარება გაიცემა 2022 წლის დამტკიცებული ქვეპროგრამის შესაბამისად. |
| 3 | 3. სატრანსპორტო ხარჯებით უზრუნველყოფილნი იქნებიან ის ეტლით მოსარგებლე შშმ სტატუსის მქონე ქ. ბათუმში 2023 წლის 1 იანვრამდე რეგისტრირებული სტუდენტები, რომლებიც უმაღლეს ან საშუალო-სპეციალურ განათლებას ღებულობენ  ქ. ბათუმის ტერიტორიაზე არსებულ აკრედიტირებულ უმაღლეს სასწავლებლებში, კოლეჯებში. საჭირო დოკუმენტაცია: განცხადება, პირადობის მოწმობა ან აიდი ბარათი, ცნობა სოციალური მომსახურეობის სააგენტოდან შშმპ სტატუსის შესახებ, სასწავლებლიდან სტუდენტის დამადასტურებელი ცნობა, სტუდენტის საბანკო რეკვიზიტი. |
| 4 | 4. 'სსიპ ქ. ბათუმის #13 და #17 საჯარო სკოლების სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისათვის ტრანსპორტით უზრუნველყოფის სუბსიდირების ღონისძიების ჩართვა განხორციელდება ქ. ბათუმის რესურსცენტრის მიერ მოწოდებული სიების საფუძველზე. დაფინანსება განხორციელდება ორი გზა ( საჯარო სკოლამდე მისვლა და შინ დაბრუნება) 12 ლარის ოდენობით ერთი დღე. დაფინანსება განხორციელდება შესაბამისი საჯარო სკოლების მიერ წარმოდგენილი ტაბელის წარმოდგენის შემდეგ. |

| | |
|---|---|
| 5 | 5. ყოველთვიური მატერიალური დახმარების გაწევის შემთხვევაში აღრიცხვაზე აყვანის დროს საჭირო დოკუმენტაცია: განცხადება, მშობლების პირადობის მოწმობის ქსეროასლები, ბავშვების დაბადების მოწმობების ქსეროასლები, ქორწინების მოწმობა (არსებობის შემთხვევაში), ამონაწერი სოციალური მომსახურების სააგენტოდან სარეიტინგო ქულების შესახებ, რომელშიც მითითებულია ოჯახის წევრები (დედა ან/და მამა, 3, 4, 5 და მეტი ბავშვი), მოკვლევა შესაბამისი ადმინისტრაციული ერთეულიდან საჭიროების შემთხვევაში, ცნობა საჯარო რეესტრიდან მარტოხელა მშობლის სტატუსის შესახებ ასეთის არსებობის შემთხვევაში. მშობლები ან ერთ-ერთი მშობელი, ასევე ბავშვებზე სოციალური მომსახურების სააგენტოდან სარეიტინგო ქულები ოჯახის წევრებზე უნდა იყოს მინიჭებული ქ. ბათუმში. საბანკო რეკვიზიტი. არსებული ბაზების ყოველთვიური გადამოწმების შემდეგ მატერიალური დახმარება გაიცემა ქ. ბათუმში მცხოვრებ იმ სამ, ოთხ, ხუთშვილიანი და მეტი 0-70000-მდე სარეიტინგო ქულის მქონე ოჯახებზე, რომელთაც ყველა ბავშვი დარეგისტრირებული ჰყავთ სოციალური სააგენტოს მიერ მოწოდებულ სარეიტინგო ქულების ამონაწერში. 2023 წლიდან მომართვის შემთხვევაში სოციალურად დაუცველი ოჯახები დარეგისტრირებული უნდა იყვნენ ქ. ბათუმში 2023 წლის პირველ იანვრამდე და ასევე ქულები მინიჭებული უნდა ჰქონდეთ ქ. ბათუმში; მატერიალური დახმარება გაიცემა ქ. ბათუმში რეგისტრირებულ სოციალურად დაუცველ სამშვილიან ოჯახებზე ერთი შვილის 18 წლის შესრულებამდე. მატერიალური დახმარება ოთხ შვილზე 120 ლარის ოდენობით გაიცემა ქ. ბათუმში რეგისტრირებულ სოციალურად დაუცველ ოთხშვილიან ოჯახებზე ერთი შვილის 18 წლის შესრულებამდე. ერთი შვილის 18 წლის შესრულების შემდეგ ისინი მიიღებენ ქ. ბათუმში რეგისტრირებულ სოციალურად დაუცველ სამშვილიანი ოჯახებისათვის განსაზღვრულ დახმარებას 100 ლარის ოდენობით. მატერიალური დახმარება ხუთ და მეტშვილიან ოჯახებზე 180 ლარის ოდენობით გაიცემა ქ. ბათუმში რეგისტრირებულ სოციალურად დაუცველ ხუთ და მეტშვილიან ოჯახებზე ერთი შვილის 18 წლის შესრულებამდე. ერთი შვილის 18 წლის შესრულების შემდეგ ისინი მიიღებენ ქ. ბათუმში რეგისტრირებულ სოციალურად დაუცველ ხუთშვილიანი, ოთხშვილიანი, სამშვილიანი ოჯახებისათვის განსაზღვრულ დახმარებას ტარიფის მიხედვით. ხუთი და მეტშვილიანი ოჯახების ყოველთვიური დახმარება 150 ლარის ოდენობით განხორციელდება მხოლოდ იმ ოჯახებისათვის, რომელთაც ეყოლებათ 18 წლამდე ასაკის ხუთი შვილი. მარტოხელა მშობლები (მარტოხელა დედა და მარტოხელა მამა) და 18 წლამდე ასაკის ბავშვი უნდა იყოს რეგისტრირებული ქ. ბათუმში. 2023 წლიდან მომართვის შემთხვევაში მარტოხელა მშობელი და ბავშვი რეგისტრირებული უნდა იყოს ქ. ბათუმში 2023 წლის პირველ იანვრამდე. დედ-მამით ობოლი ბავშვები, რომლებსაც მატერიალური დახმარების გაცემის პერიოდისთვის უკვე დანიშნული ჰყავთ მეურვე და/ან მზრუნველი, რეგისტრირებული უნდა იყვნენ ქ. ბათუმში. |
| 6 | რეინტეგრირებული ოჯახების 18 წლამდე ასაკის პირთათვის მატერიალური დახმარება განხორციელდება სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს აჭარის ა/რ რეგიონული ცენტრის მიერ მოწოდებული სიების საფუძველზე. ხოლო რეინტეგრირებული ოჯახებისათვის ბინის ქირით უზრუნველყოფის ღონისძიება განხორციელდება ტერიტორიული ერთეულისა და სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს აჭარის ა/რ რეგიონული ცენტრის მიერ მოწოდებული მოკვლევების საფუძველზე. ღონისძიებით ისარგებლებენ ქ. ბათუმში 2023 წლის პირველ იანვრამდე რეგისტრირებული პირები. |
| 7 | 6.18 წლამდე შშმ პირთა ყოველთვიურ მატერიალურ დახმარებას 50 ლარის ოდენობით მიიღებენ ქ. ბათუმში 2023 წლის პირველ იანვრამდე რეგისტრირებული პირები.<br>6. 0-30001-მდე ქ. ბათუმის სარეიტინგო ქულების მქონე ოჯახების კომუნალური გადასახადების სუბსიდირება განხორციელდება (იანვარი-მარტი, ნოემბერ-დეკემბერში) 30 ლარის ოდენობით ყოველთვიურად. ოჯახების გადამოწმება განხორციელდება სოციალური სააგენტოს მიერ მოწოდებულ ბაზებში. თანხის ჩარიცხვა განხორციელდება ბენეფიციართა პირად ანგარიშზე.<br>7. ყოველთვიური მატერიალური დახმარება გაეწევა ქ. ბათუმში რეგისტრირებულ იმ ძალადობის მსხვერპლ ბენეფიციარებს, რომელთაც მინიჭებული აქვთ ძალადობის მსხვერპლის სტატუსი. |

## ქვეპროგრამის ფორმა

| ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი: | ქვეპროგრამის დასახელება | პროგრამის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა |
|---|---|---|
| 06 02 03 | მუნიციპალური ტრანსპორტით მგზავრობის საფასურის სუბსიდირება | სოციალური უზრუნველყოფა |

| ქვეპროგრამის განმახორციელებელი: | ქ. ბათუმის მუნციპალიტეტის მერია, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური | ქვეპროგრამის ბიუჯეტი | 2023 წლის დაფინანსება (ლარი) | 2024 წლის დაფინანსება (ლარი) | 2025 წლის დაფინანსება (ლარი) | 2026 წლის დაფინანსება (ლარი) |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | 2 110 000 | 2 110 000 | 1 822 400 | 1 822 400 |

| | |
|---|---|
| ქვეპროგრამის მიზანი | საზოგადოების განსაზღვრული კატეგორიებისათვის მუნიციპალურ სატრანსპორტო მომსახურებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდა |
| ქვეპროგრამის აღწერა | სოციალურად დაუცველი 0-დან 70000 ქულის მქონე პირების, მასწავლებლების, მოსწავლეების, სტუდენტების, შშმ პირების, პენსიონერების, ვეტერანებისა და მათთან გათანაბრებული პირების მუნიციპალურ ტრანსპორტზე მომსახურების ხელმისაწვდომობის გაზრდისა და სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიამ შეიმუშავა საქალაქო ტრანსპორტით სარგებლობაზე მგზავრობის საფასურის სუბსიდირების ქვეპროგრამა, განსაზღვრული სოციალური კატეგორიების პირთა (ბათუმის ხანდაზმულთა სოციალური ცენტრის ბენეფიციარები, ვეტერანებისა და მათთან გათანაბრებული პირები, 0-70 000 ქულის მქონე ბენეფიციარები, შშმ პირები, შშმ სტატუსის ბავშვები, მოსწავლეები, მასწავლებლები, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების თანამშრომლები და სკოლების მანდატურები, საბავშვო ბაღების და ბიბლიოთეკების თანამშრომლები, პროფესიული კოლეჯის "Black sea" თანამშრომლები, რომელთა შრომის ანაზღაურება (სარგო) არ აღემატება 625 ლარს თვეში, სტუდენტები, იძულებით გადაადგილებული პირები, ასაკით პენსიონერები, მარტოხელა მშობლები და სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა აჭარის რეგიონალური ცენტრის ბენეფიციარები) მუნიციპალური ტრანსპორტით მგზავრობის საფასურის 100%-ით სუბსიდირება. ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსება განხორციელდება M3 კლასის საქალაქო სამგზავრო ავტობუსით ქალაქის ფარგლებში მგზავრობის საფასურის კომპენსაციის სახით (საშუალოდ 15 მგზავრობა). |
| ქვეპროგრამის მოსალოდნელი შუალედური შედეგი | საზოგადოების განსაზღვრული კატეგორიებისათვის უზრუნველყოფილია ხელმისაწვდომი მუნიციპალური სატრანსპორტო მომსახურება |

| № | მოსალოდნელი შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი | ინდიკატორის მაჩვენებლები | | ცდომილების ალბათობა (%/შესაძლო რისკები - აღწერა) |
|---|---|---|---|---|
| | | მიზნობრივი 2022 წელი | მიზნობრივი 2023 წელი | |
| 1 | ბენეფიციართა რაოდენობა, რომელიც სარგებლობს მუნიციპალური ტრანსპორტის საფასურის 50%-იანი შეღავათით | 16 000 | - | - |
| 2 | ბენეფიციართა რაოდენობა, რომელიც სარგებლობს მუნიციპალური ტრანსპორტის საფასურის 100 %-იანი შეღავათით (უფასო მგზავრობით) | 19 600 | 36 200 | 30% - მომართვიანობის ცვლილება |

| № | ღონისძიების დასახელება | პროდუქტები | | | სულ (ლარი) | მათ შორის: | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | განზომილება | საშუალო რაოდენობა | ერთეულის საშუალო ფასი | | საბიუჯეტო სახსრები | საკუთარი სახსრები |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | განსაზღვრული სოციალური კატეგორიების პირთა (ბათუმის ხანდაზმულთა სოციალური ცენტრის ბენეფიციარები, ვეტერანებისა და მათთან გათანაბრებული პირები, 0-70 000 ქულის მქონე ბენეფიციარები, შშმ პირები, შშმ სტატუსის ბავშვები, მოსწავლეები, მასწავლებლები, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების თანამშრომლები და სკოლების მანდატურები, საბავშვო ბაღების და ბიბლიოთეკების თანამშრომლები, პროფესიული კოლეჯის "Black sea" თანამშრომლები, სოციალური სააგენტოს თანამშრომლები, სტუდენტები, იძულებით გადაადგილებული პირები, ასაკით პენსიონერები, მარტოხელა მშობლები და სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა აჭარის რეგიონალური ცენტრის ბენეფიციარები) მუნიციპალური ტრანსპორტით მგზავრობის საფასურის 100%-ით სუბსიდირება | ბენეფიციარი | 36 200 | 58 | 2 110 000 | 2 110 000 | |
| სულ ქვეპროგრამა | | | | | 2 110 000 | 2 110 000 | 0 |

| № | დამატებითი ინფორმაცია |
|---|---|
| 1 | მუნიციპალური ტრანსპორტით მგზავრობის საფასურის სუბსიდირება განხორციელდება „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (M3 კატეგორია) მგზავრთა ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას სამგზავრო ტარიფების, ფასდაკლების სისტემის და მოქალაქეთა ცალკეული კატეგორიების შეღავათიანი მგზავრობის შესახებ" ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 24 მაისისს №8 დადგენილებით განსაზღვრული პირობების შესაბამისად. |

## ქვეპროგრამის ფორმა

| ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი: | ქვეპროგრამის დასახელება | პროგრამის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა |
|---|---|---|
| 06 02 04 | მზრუნველობას მოკლებულ ბენეფიციართა მოვლა-პატრონობა და მოვლის საჭიროების მქონე პირთა დახმარება | სოციალური უზრუნველყოფა |

| ქვეპროგრამის განმახორციელებელი: | ქ. ბათუმის მუნციპალიტეტის მერია, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური | ქვეპროგრამის ბიუჯეტი | 2023 წლის დაფინანსება (ლარი) | 2024 წლის დაფინანსება (ლარი) | 2025 წლის დაფინანსება (ლარი) | 2026 წლის დაფინანსება (ლარი) |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | 1 399 880 | 1 200 000 | 1 250 000 | 1 250 000 |

| | |
|---|---|
| ქვეპროგრამის მიზანი | მზრუნველობამოკლებულ და მოვლის საჭიროების მქონე პირთა სოციალური პირობების გაუმჯობესება |
| ქვეპროგრამის აღწერა | უპოვარ და მზრუნველობას მოკლებულ ბენეფიციარებზე ზრუნვა მუნიციპალიტეტის საქმიანობის ერთ-ერთ ძირითად მიმართულებას წარმოადგენს. განსაკუთრებით იმ პირთათვის, რომლებიც დარჩენილი არიან ყოველგვარი მოვლა-პატრონობის გარეშე. დღეისათვის არსებული სახელმწიფო თუ საერთაშორისო ორგანიზაციები სრულად ვერ ახდენენ ამ კატეგორიის მოქალაქეთა სამედიცინო-სოციალურ დახმარებას (სამედიცინო მომსახურება, თავშესაფრითა და კვებით უზრუნველყოფა და სხვა). ხშირ შემთხვევაში აქცენტი კეთდება მხოლოდ ინდივიდუალურ/ნაწილობრივ მომსახურებაზე (მხოლოდ ცალკე აღებული კვება, სამედიცინო მომსახურება ან თავშესაფარი). ამ მხრივ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტი უკვე წლების განმავლობაში ახორციელებს უპოვარ და მზრუნველობამოკლებულ ბენეფიციართა მოვლა-პატრონობის ხარჯების დაფინანსებას, რომელიც ითვალისწინებს ამ კატეგორიის მოქალაქეების თავშესაფრით, შესაბამისი სამედიცინო მომსახურებით, საყოფაცხოვრებო პირობებითა და კვებით უზრუნველყოფას.<br>გარდა ამისა გათვალისწინებულია სამედიცინო და სოციალური სერვისების მიწოდება სახლის პირობებში იმ ბენეფიციარებზე, რომლებსაც ყველაზე მეტად სჭირდებათ დახმარება. კერძოდ, მომსახურება გაეწევა ქრონიკულად დაავადებულ, ხანგრძლივი მოვლის საჭიროების მქონე ან/და საწოლს მიჯაჭვულ ქ. ბათუმში რეგისტრირებულ 0-დან 100 000-მდე ქულის მქონე ბენეფიციარებს, შშმ პირებს, ასაკით პენსიონერებს. ისინი უზრუნველყოფილი იქნებიან სამედიცინო დახმარებით (პრევენცია, მკურნალობა, რეაბილიტაცია) ყოველდღიურ საქმიანობაში მხარდაჭერით (განათლება, უნარების განვითარება, პერსონალური ჰიგიენის მოწესრიგება) პაციენტებისა და ახლობლების ფსიქოლოგიური და სოციალური დახმარებით (მხარდაჭერა, ჯანსაღი სოციალური გარემოს შექმნა, ასევე საჭირო სერვისების მისაღებად). |
| ქვეპროგრამის მოსალოდნელი შუალედური შედეგი | მზრუნველობამოკლებულ და მოვლის საჭიროების მქონე პირებისათვის გაუმჯობესებულია სოციალური პირობები |

| № | მოსალოდნელი შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი | ინდიკატორის მაჩვენებლები | | ცდომილების ალბათობა (%/შესაძლო რისკები - აღწერა) |
|---|---|---|---|---|
| | | მიზნობრივი 2022 წელი | მიზნობრივი 2023 წელი | |
| 1 | მოხუცებულთა სავანეში სერვისის მიმღებ ბენეფიციართა რაოდენობა | 122 | 130 | 5% - მომართვიანობის ვარირება |
| 2 | სერვისის მიმღებ ბენეფიციართა რაოდენობა | 100 | 110 | 5% - მომართვიანობის ვარირება |

| № | ღონისძიების დასახელება | პროდუქტები | | | სულ (ლარი) | მათ შორის: | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | განზომილება | რაოდენობა | ერთეულის საშუალო ფასი | | საბიუჯეტო სახსრები | საკუთარი სახსრები |
| 1 | მზრუნველობას მოკლებულ პირთა დახმარება | ბენეფიციარი | 130 | 10220 | 1 328 600 | 1 328 600 | |
| 2 | ბინაზე მოვლის საჭიროების მქონე პირთა დახმარება | ბენეფიციარი | 110 | 648 | 71 280 | 71 280 | |
| | სულ ქვეპროგრამა | | | | **1 399 880** | **1 399 880** | **0** |

| № | დამატებითი ინფორმაცია |
|---|---|
| 1 | **ქვეპროგრამით ისარგებლებენ:**<br>1. ქ. ბათუმში რეგისტრირებული მარტოხელა, მიუსაფარი და სოციალურად დაუცველ ოჯახთა მზრუნველობას მოკლებული ადამიანები.<br>2. მომსახურება გაეწევა ქრონიკულად დაავადებულ, ხანგრძლივი მოვლის საჭიროების მქონე ან/და საწოლს მიჯაჭვულ ქ. ბათუმში რეგისტრირებულ 0-დან 100 000-მდე ქულის მქონე ბენეფიციარებს, შშმ პირებს, ასაკით პენსიონერებს.<br>მოსარგებლეთა შერჩევა მოხდება შემოსული განცხადებების საფუძველზე, ასევე ფორსმაჟორულ სიტუაციებში შეიძლება განხორციელდეს უშუალოდ მოხუცებულთა სავანის საფუძველზე. განცხადებასთან ერთად უნდა იყოს წარმოდგენილი: პირადობის მოწმობის ქსეროასლი, საჭიროების შემთხვევაში ამონაწერი სოციალური მომსახურების სააგენტოდან სარეიტინგო ქულების შესახებ, საპენსიო მოწმობა და ფორმა 100 ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ. ბინაზე მოვლის საჭიროების მქონე პირთა მოვლა-პატრონობა შესაძლებელია განხორციელდეს თანადაფინანსების პრინციპით შესაბამისი გამოცდილების მქონე ორგანიზაციასთან ურთიერთშეთანხმების საფუძველზე. სამედიცინო და სოციალური სერვისების მიწოდებას სახლის პირობებში უზრუნველყოფს მულტიდისციპლინარული ჯგუფი: 3 ექთნით, 1 ექთნის ასისტენტით, 1 საინფორმაციო ბაზის ოფიცრით, და ამავდროულად უზრუნველყოფილი იქნება ოფისით, ტრანსპორტით და ტექნიკური აღჭურვილობით. ღონისძიებაში ჩართულ ბენეფიციარებთან ვიზიტის სიხშირე განისაზღვრება მათი ჯანმრთელობის მდგომარეობის სიმძიმიდან გამომდინარე, ხოლო ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ ყოველთვიურად ერთ ბენეფიციარზე გამოყოფილი თანხა საშუალოდ 54,00 (ორმოცდათოთხმეტი და 00 თეთრი) ლარის ოდენობით (მედიკამენტებისა და ჰიგიენური საფენების შესაძენად) გადანაწილდება თითეულ ბენეფიციარზე საჭიროების მიხედვით. |

## ქვეპროგრამის ფორმა

| ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი: | ქვეპროგრამის დასახელება | პროგრამის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა |
|---|---|---|
| 06 02 06 | მუნიციპალური უფასო სასადილო | სოციალური უზრუნველყოფა |

| ქვეპროგრამის განმახორციელებელი: | ა(ა)იპ - ბათუმის სოციალური სერვისების სააგენტო | ქვეპროგრამის ბიუჯეტი | 2023 წლის დაფინანსება (ლარი) | 2024 წლის დაფინანსება (ლარი) | 2025 წლის დაფინანსება (ლარი) | 2026 წლის დაფინანსება (ლარი) |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | 7 303 200 | 7 620 800 | 8 382 900 | 9 221 200 |

| | |
|---|---|
| ქვეპროგრამის მიზანი | სოციალურად დაუცველი მოსახლეობის უფასო საკვებით უზრუნველყოფა |
| ქვეპროგრამის აღწერა | ა(ა)იპ - ბათუმის სოციალური სერვისების სააგენტო ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ექვსი უფასო მუნიციპალური სასადილოს მეშვეობით ყოველდღიურად, დღეში ერთხელ, აწვდის სოციალურად დაუცველ ბენეფიციარებს ცხელი საკვებს, რომელიც გადაუდებელ აუცილებლობას წარმოადგენს მათი არსებობისათვის. 2023 წელს სააგენტო მოემსახურება 7650 ბენეფიციარს. ყოველთვიურად ხდება მოსარგებლე პირთა რაოდენობაში ცვლილების შეტანა სსიპ საქართველოს სოციალური მომსახურეობის სააგენტოდან მოწოდებული სოციალურად დაუცველ ბენეფიციართა ბაზის საფუძველზე. მომსახურეობით ისარგებლებენ ის მოქალაქეები, რომლებიც მონაწილეობენ „სოციალურად დაუცველი ოჯახების იდენტიფიკაციის, სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასებისა და მონაცემთა ბაზის ფორმირების სახელმწიფო პროგრამაში“ და მინიჭებული აქვთ 0-დან 65000 ჩათვლით სარეიტინგო ქულა და წარმოადგენენ განაცხადებს. გარდა ამისა, სოციალურად დაუცველი ოჯახების (შინამეურნეობების) სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 31 დეკემბერის დადგენილება №758-ის გათვალისწინებით. ბენეფიციართა შერჩევა ხორციელდება ელექტრონული პროგრამის მეშვეობით, სარეიტინგო ქულების მიხედვით, ქვევიდან ზევით პრინციპით. ქვეპროგრამით ასევე გათვალისწინებულია მარტოხელა ბენეფიციართა ბინაზე მომსახურება და ადგილზე კვება, რომლებიც ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო ვერ ახერხებენ გადაადგილებას.<br>უფასო მუნიციპალური სასადილოების გამართული და შეუფერხებელი ფუნქციონირების მიზნით განხორციელდება ორგანიზაციის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება. |
| ქვეპროგრამის მოსალოდნელი შუალედური შედეგი | საჭიროების მქონე პირთათვის უზრუნველყოფილია უფასო კვებით მომსახურება |

| № | მოსალოდნელი შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი | ინდიკატორის მაჩვენებლები | | ცდომილების ალბათობა (%/შესაძლო რისკები - აღწერა) |
|---|---|---|---|---|
| | | საბაზისო 2022 წელი | მიზნობრივი 2023 წელი | |
| 1 | სასადილოების რაოდენობა, სადაც ხელმისაწვდომია უფასო კვების სერვისი | 6 | 6 | 10% - არასაკმარისი მიწოდებული სერვისი |
| 2 | ყოველდღიურად უფასო კვების სერვისით მოსარგებლე ბენეფიციართა რაოდენობა | 7 595 | 7 650 | 3% - მომართვიანობის ცვლილება +/- |

| № | ღონისძიების დასახელება | პროდუქტები | | | სულ (ლარი) | მათ შორის: | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | განზომილება | რაოდენობა | ერთეულის საშუალო ფასი | | საბიუჯეტო სახსრები | საკუთარი სახსრები |
| 1 | **ადმინისტრირება და მართვა** | | | | **1 684 100** | **1 561 100** | **123 000** |
| | შრომის ანაზღაურება | პირი | 102 | 13178 | 1 344 200 | 1 239 200 | 105 000 |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა ანაზღაურება | პირი | 2 | 13200 | 26 400 | 26 400 | |
| | საქონელი და მომსახურება, სხვა დანარჩენი ხარჯები | | | | 313 500 | 295 500 | 18 000 |
| **2** | **საკვები პროდუქტების შეძენა (ბენეფიციართა რაოდენობა)** | **ბენეფიციარი** | **7 650** | **731** | **5 592 600** | **5 550 000** | **42 600** |
| **3** | **მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება** | | | | **26 500** | **26 500** | **0** |
| | კომპიუტერული და პერიფერიული ტექნიკა | ერთეული | 4 | **1625** | **6 500** | 6 500 | |
| | საოჯახო და საოფისე ტექნიკა | | | | **20 000** | 20 000 | |
| **სულ ქვეპროგრამა** | | | | | **7 303 200** | **7 137 600** | **165 600** |

| № | დამატებითი ინფორმაცია |
|---|---|
| 1 | სადღესასწაულო დღეებში (აღდგომა, ახალი წელი) განხორციელდება ბენეფიციართათვის ერთჯერადი საჩუქრების (ნობათები) გაცემა.<br>ქვეპროგრამაში დამატებითი სიით (პროგრამით გათვალისწინებული დამზადებული გაუხარჯავი საკვებით) ისარგებლებენ ის მოქალაქეები, რომლებიც წერილობით ითხოვენ კვებით უზრუნველყოფას, მათ შორის - პენსიონერები, შშმ პირები, მარტოხელა პირები, რომლებსაც არა აქვთ მინიჭებული სარეიტინგო ქულა, ვინაიდან  ვერ ხერხდება მათი სოციალური მდგომარეობის შესწავლა სოციალური სააგენტოს მიერ გარკვეული მიზეზების გამო (საცხოვრებელი ადგილის ხშირი შეცვლა, ავადმყოფობა) ან მათი სარეიტინგო ქულა აღემატება 65000-ს, ასევე შეჭირვებული ოჯახის წევრები, რომელთა სარეიტინგო ქულა შეჩერებულია დროებით გადამოწმების მიზნით ოჯახში მომხდარი ცვლილებების გამო (დემოგრაფიული ცვლილება, საცხოვრებელი ადგილის შეცვლა), აგრეთვე სტიქიური მოვლენების გამო დროებით უსახლკაროდ, სახსრების გარეშე დარჩენილი ადამიანები. ასეთი ოჯახებისა და მოქალაქეების მოთხოვნის დაკმაყოფილების საკითხი განიხილება კომისიური მოკვლევის საფუძველზე ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის მიერ. |

## ქვეპროგრამის ფორმა

| ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი: | ქვეპროგრამის დასახელება | პროგრამის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა |
|---|---|---|
| 06 02 07 | დროებითი ღამის თავშესაფარი | სოციალური უზრუნველყოფა |

| ქვეპროგრამის განმახორციელებელი: | ა(ა)იპ - ბათუმის სოციალური სერვისების სააგენტო | ქვეპროგრამის ბიუჯეტი | 2023 წლის დაფინანსება (ლარი) | 2024 წლის დაფინანსება (ლარი) | 2025 წლის დაფინანსება (ლარი) | 2026 წლის დაფინანსება (ლარი) |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | 756 500 | 853 200 | 938 600 | 1 032 400 |

| | |
|---|---|
| ქვეპროგრამის მიზანი | უპოვართა და უსახლკარო პირთა უზრუნველყოფა დროებითი ღამის თავშესაფრით |
| ქვეპროგრამის აღწერა | ქვეპროგრამა ითვალისწინებს ყოველდღიურად 70 ბენეფიციარისათვის ღამის გათევას, ორჯერად კვებას (საუზმე, ვახშამი) და სუფთა ტანსაცმლით უზრუნველყოფას, საჭიროების შემთხვევაში სამედიცინო მომსახურების გაწევას. ასევე, სადღესასწაულო დღეებში (აღდგომის დღესასწაულზე და საახალწლოდ) ერთჯერადი საჩუქრების გაცემას.<br>ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიამ 2022 წელს განახორციელა დროებითი ღამის თავშესაფრის შენობის სრული რეაბილიტაცია-რეკონსტრუქცია. „ა(ა)იპ ბათუმის სოციალური სერვისების სააგენტო" 2023 წლიდან განახორციელებს რეაბილიტირებული შენობის სრულ აღჭურვას ახალი ავეჯითა და ინვენტარით, ასევე განხორციელდება საშტატო განრიგის განახლება და მისი მორგება ტექნიკურ რეგლამენტზე - „მიუსაფართა დროებითი თავშესაფრის ფუნქციონირების მინიმალური სტანდარტების დამტკიცების შესახებ." |
| ქვეპროგრამის მოსალოდნელი შუალედური შედეგი | დროებითი ღამის თავშესაფარი ფუნქციონირებს შეუფერხებლად |

| № | მოსალოდნელი შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი | ინდიკატორის მაჩვენებლები | | ცდომილების ალბათობა (%/შესაძლო რისკები - აღწერა) |
|---|---|---|---|---|
| | | მიზნობრივი 2022 წელი | მიზნობრივი 2023 წელი | |
| 1 | ბენეფიციართა რაოდენობა | 50 | 70 | 10% - ბენეფიციართა რაოდენობის ცვლილება (+/-) |

| № | ღონისძიების დასახელება | პროდუქტები | | | სულ (ლარი) | მათ შორის: | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | განზომილება | რაოდენობა | ერთეულის საშუალო ფასი | | საბიუჯეტო სახსრები | საკუთარი სახსრები |
| 1 | **ადმინისტრირება და მართვა** | | | | **359 500** | **359 500** | |
| | შრომის ანაზღაურება | პირი | 9 | 10422 | **93 800** | 93 800 | |
| | შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა ანაზღაურება | პირი | 8 | 8525 | **68 200** | 68 200 | |
| | საქონელი და მომსახურება, სხვა დანარჩენი ხარჯები | | | | **197 500** | 197 500 | |
| 2 | **სამედიცინო მომსახურება** | **ბენეფიციარი** | **70** | **71** | **5 000** | **5 000** | |
| 3 | **საკვები პროდუქტების შესყიდვა** | **ბენეფიციარი** | **70** | **1429** | **100 000** | **100 000** | |
| 4 | **მატერიალურ ტექნიკური ბაზის განახლება** | | | | **292 000** | **292 000** | |
| | ავეჯი | | | | **220 000** | 220 000 | |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | სამზარეულოს ავეჯი | | | | **30 000** | 30 000 | |
| | სამზარეულოს ტექნიკა | | | | **25 000** | 25 000 | |
| | კონდიციონერი | ერთეული | 6 | 1500 | **9 000** | 9 000 | |
| | ტელევიზორი | ერთეული | 1 | 2000 | **2 000** | 2 000 | |
| | კომპიუტერი | ერთეული | 2 | | **4 000** | 4 000 | |
| | პრინტერი | ერთეული | 2 | | **2 000** | 2 000 | |
| **სულ ქვეპროგრამა** | | | | | **756 500** | **756 500** | **0** |

| № | დამატებითი ინფორმაცია |
|---|---|
| 1 | ბენეფიციარი დროებითი ღამის თავშესაფარში შეიძლება იმყოფებოდეს 19 საათიდან დილის 10 საათამდე, რის შემდეგაც აუცილებლად უნდა დატოვოს თავშესაფრის შენობა. ხოლო უამინდობის შემთხვევაში ადმინისტრაციის გადაწყვეტილებით უფლება ეძლევათ იმყოფებოდნენ შენობაში. თავშესაფრის ბენეფიციარები შეიძლება იყვნენ მხოლოდ ის პირები, რომლებიც ღამის თავშესაფარში მიყვანილი იქნებიან საპატრულო ან სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადების მიერ. |

## ქვეპროგრამის ფორმა

| ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი: | ქვეპროგრამის დასახელება | პროგრამის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა |
|---|---|---|
| 06 02 08 | საზოგადოებრივი ორგანიზაციების მხარდაჭერა | სოციალური უზრუნველყოფა |

| ქვეპროგრამის განმახორციელებელი: | ქ. ბათუმის მუნციპალიტეტის მერია, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური | ქვეპროგრამის ბიუჯეტი | 2023 წლის დაფინანსება (ლარი) | 2024 წლის დაფინანსება (ლარი) | 2025 წლის დაფინანსება (ლარი) | 2026 წლის დაფინანსება (ლარი) |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | 116 770 | 114 900 | 114 900 | 114 900 |

| | |
|---|---|
| ქვეპროგრამის მიზანი | ხანდაზმულთა სოციალური ცენტრისა და ვეტერანთა საზოგადოებრივი ორგანიზაციების ფინანსური მხარდაჭერა |
| ქვეპროგრამის აღწერა | საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების ბათუმის ხანდაზმულთა სოციალური ცენტრი გაიხსნა 2011 წელს და დღემდე აგრძელებს ხანდაზმულ მოხუცებზე და პენსიონერებზე ზრუნვას, უქმნის მათ ცენტრის პირობებში თბილ გარემოს, აწყობს მათი ნამუშევრების (ხელნაკეთი ნივთების) გამოფენა-გაყიდვას, მათი მონაწილეობით კულტურულ ღონისძიებებს, ექსკურსიებს. ხანდაზმულთა დღის სოციალური ცენტრის მართვასა და ფუნქციონირებაში ადგილობრივი თვითმმართველობის მეტი ჩართულობის და მათი როლის გაზრდის მიზნით სოციალური დაცვის პროგრამის ფარგლებში არაერთი წელია ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია უწევს მატერიალურ მხარდაჭერას ბათუმის ხანდაზმულთა დღის სოციალურ ცენტრს, რომელიც ითვალისწინებს (საკანცელარიო, ოფისის, კომუნალური, სამივლინებო და სხვა (საოფისე და საყოფაცხოვრებო ნივთების შეძენა)) ხარჯების დაფარვას. ასევე საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოება დებულებიდან გამომდინარე ახორციელებს სხვადასხვა აქტივობებს სტიქიური უბედურებების და საგანგებო სიტუაციების დროს, სისხლის დონაციის, ეპიდემიების დროს, მონაწილეობს სამძებრო და სამაშველო საქმიანობაში, მოსახლეობისათვის პირველადი დახმარების უზრუნველყოფასა და გადამზადებაში. ამ კუთხით ადგილობრივი თემების გაძლიერების, კატასტროფების ზეგავლენის შემსუბუქების, უსაფრთხო გარემოს და სიცოცხლის ხელშეწყობის მიზნით ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტი ახორციელებს საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების სუბსიდირებას. ასეთივე მხარდაჭერა გათვალისწინებულია ბათუმის ვეტერანთა საზოგადოებრივ ორგანიზაციებზე, რომლებიც უზრუნველყოფენ ვეტერანთა ინფორმირებას და მეტ ჩართულობას სოციალურ პროგრამებში, შემოდიან წინადადებებით ვეტერანებისათვის ახალი პროქტების შემუშავებისა და განხორციელების თვალსაზრისით, აქტიურად ერთვებიან და მონაწილეობენ ვეტერანებისათვის ორგანიზებულ ღონისძიებებში. ასევე ძალიან აქტუალურია შშმ პირთა საოჯახო ტიპის სახლის მხარდაჭერა. დამოუკიდებელი ცხოვრების დღის ცენტრი USAID დამოუკიდებელი ცხოვრების პროგრამის ფარგლებში ფინანსირდება 57 პროცენტის ფარგლებში, ხოლო დარჩენილი 43% , ითვალისწინებს იჯარის, კომუნიკაციების, კომუნალური, ტრანსპორტირების ღონისძიებებისა და საოფისე ხარჯის ანაზღაურებას, რაც შეადგენს თვეში 2 985 ლარს და აუცილებელია ცენტრის ფუნქციონირებისათვის, რისი გადახდის საშუალებაც აღნიშნულ ცენტრს არ გააჩნია. ახალი ღონისძიების სახით დამოუკიდებელი ცხოვრების დღის ცენტრის სუბსიდირება დაემატება აღნიშნულ ქვეპროგრამას. |
| ქვეპროგრამის მოსალოდნელი შუალედური შედეგი | უზრუნველყოფილია საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოებისა და ბათუმის ხანდაზმულთა დღის სოციალური ცენტრისათვის დახმარების გაწევა, უსინათლოთა და ვეტერანთა საზოგადოებრივი ორგანიზაციების ფინანსური მხარდაჭერა. შშმ პირთა საოჯახო ტიპის დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშემწყობი მომსახურებით უზრუნველყოფის კომპონენტის სუბსიდირება. |

| № | მოსალოდნელი შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი | ინდიკატორის მაჩვენებლები | | ცდომილების ალბათობა (%/შესაძლო რისკები - აღწერა) |
|---|---|---|---|---|
| | | საბაზისო 2022 წელი | მიზნობრივი 2023 წელი | |
| 1 | საზოგადოებრივი ორგანიზაციების რაოდენობა, რომელთა ფინანსური დახმარება განხორციელდა | 5 | 6 | 20% - მომართვიანობის ცვლილება |

| № | ღონისძიების დასახელება | პროდუქტები | | | სულ (ლარი) | მათ შორის: | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | განზომილება | რაოდენობა | ერთეულის საშუალო ფასი | | საბიუჯეტო სახსრები | საკუთარი სახსრები |
| | საზოგადოებრივი ორგანიაზაციების მატერიალური მხარდაჭერა | | | | 116 770 | 116 770 | |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოებისა და ბათუმის ხანდაზმულთა დღის სოციალური ცენტრისათვის დახმარების გაწევა | ორგანიზაცია | 2 | 30000 | 60 000 | 60 000 | |
| | ა(ა)იპ - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ომის, შრომის და სამხედრო ძალების ვეტერანთა გაერთიანება „ომგადახდილის'' ქალაქ ბათუმის ორგანიზაციაზე დახმარების გაწევა | ორგანიზაცია | 1 | 5000 | 5 000 | 5 000 | |
| | დამოუკიდებელი ცხოვრების ცენტრის დაფინანსება | ორგანიზაცია | 1 | 2985 | 35 820 | 35 820 | |
| | ავღანეთის ვეტერანთა საქართველოს კავშირის აჭარის რეგიონალურ ორგანიზაციაზე დახმარების გაწევა | ორგანიზაცია | 1 | 5000 | 5 000 | 5 000 | |
| | შშმ პირთა საოჯახო ტიპის დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშემწყობი მომსახურებით უზრუნველყოფის კომპონენტის სუბსიდირება (5 პირისათვის) | სათემო სახლი | 1 | 10950 | 10 950 | 10 950 | |
| სულ ქვეპროგრამა | | | | | 116 770 | 116 770 | 0 |

| № | დამატებითი ინფორმაცია |
|---|---|
| 1 | საზოგადოებრივ ორგანიზაციებს ფინანსური დახმარება გაეწევათ მათ მიერ წარმოდგენილი წერილის საფუძველზე, რომელშიც მითითებული იქნება სხვადასხვა ღონისძიებებისათვის (საკანცელარიო, ოფისის, კომუნალური, სამივლინებო, მიმდინარე აქტივობები, სხვადასხვა ხარჯები (საოფისე და საყოფაცხოვრებო ნივთების შეძენა)) საჭირო თანხების ოდენობა. |

## ქვეპროგრამის ფორმა

| ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი: | ქვეპროგრამის დასახელება | პროგრამის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა |
|---|---|---|
| 06 02 10 | მოწყვლადი სოციალური კატეგორიებისათვის მინიმალური სოციალური პირობების შექმნა | სოციალური უზრუნველყოფა |

| ქვეპროგრამის განმახორციელებელი: | ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური | ქვეპროგრამის ბიუჯეტი | 2023 წლის დაფინანსება (ლარი) | 2024 წლის დაფინანსება (ლარი) | 2025 წლის დაფინანსება (ლარი) | 2026 წლის დაფინანსება (ლარი) |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | 219 800 | 250 000 | 250 000 | 250 000 |

| | |
|---|---|
| ქვეპროგრამის მიზანი | მოწყვლადი სოციალური კატეგორიებისათვის, უპირატესად სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის, სოციალური პირობების გაუმჯობესება და მინიმალური საცხოვრებელი პირობების შექმნა |
| ქვეპროგრამის აღწერა | unicef-ის კვლევის მიხედვით, უპირატესად მოწყვლადი კატეგორიის მოსახლეობის აუცილებლობას წარმოადგენს მატერიალური დეპრივაციის დაძლევა და მინიმალური საცხოვრებელი პირობების შექმნა, რომლის დაძლევის მიზნით შემუშავებული იქნა ზემოაღნიშნული ქვეპროგრამა. ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი ფართის რეაბილიტაციისათვის საჭირო მასალების შეძენა და საშენე მასალის გაცემა სოციალურად დაუცველი შშმ და ბინაზე მოვლის საჭიროების მქონე პირებისათვის, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 57 001; სამი და მეტ შვილიანი, სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 30 001 და სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 1001-ს. |
| ქვეპროგრამის მოსალოდნელი შუალედური შედეგი | მოწყვლადი სოციალური კატეგორიებისათვის გაუმჯობესებულია სოციალური პირობები |

| № | მოსალოდნელი შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი | ინდიკატორის მაჩვენებლები | | ცდომილების ალბათობა (%/შესაძლო რისკები - აღწერა) |
|---|---|---|---|---|
| | | მიზნობრივი 2022 წელი | მიზნობრივი 2023 წელი | |
| 1 | ქვეპროგრამით მოსარგებლე სოციალურად დაუცველი ოჯახების საშუალო რაოდენობა | 100 | 350 | 5% - მომართვიანობის ცვლილება |

| № | ღონისძიების დასახელება | პროდუქტები | | | სულ (ლარი) | მათ შორის: | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | განზომილება | რაოდენობა | ერთეულის საშუალო ფასი | | საბიუჯეტო სახსრები | საკუთარი სახსრები |
| 1 | სოციალურად დაუცველი შშმ და ბინაზე მოვლის საჭიროების მქონე პირებისათვის, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 57.001; სამი და მეტ შვილიანი, სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 30.001; სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 1.001-ს სარემონტო მასალების შეძენა, საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი ფართის რეაბილიტაციისათვის. საშენე მასალის მოსაკრებლის გადახდა და ტრანსპორტირება | ბენეფიციარი | 250 | 879 | 219 800 | 219 800 | |
| სულ ქვეპროგრამა | | | | | 219 800 | 219 800 | 0 |

| № | დამატებითი ინფორმაცია |
|---|---|
| 1 | 1. სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის სარემონტო მასალების (საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი ფართის სარემონტო სამუშაოების ჩატარებისათვის) შეძენის მიზნით მოხდება აღნიშნული ოჯახების/პირების საცხოვრებელი და საყოფაცხოვრებო პირობების კვლევა სერვის ცენტრის მენეჯერების მიერ. სარემონტო მასალების შეძენა მოხდება ვაუჩერის საფუძველზე. ვაუჩერის ფორმა, მიმოქცევისა და ანგარიშსწორების პირობები მტკიცდება ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით. დახმარების მიმღებმა პირმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტაცია: 1. განცხადება; 2. პირადობის მოწმობის ქსეროასლი; 3. ამონაწერი სოციალური მომსახურების სააგენტოდან სარეიტინგო ქულების შესახებ; 4. სარემონტო მასალების შეძენისას (სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარების მიზნით) უნდა წარმოადგინოს გასაწევი ხარჯის შესაბამისი ხელშეკრულება, ანგარიშ-ფაქტურა, ინვოისი, სასაქონლო ზედნადებები; 5. საცხოვრებელი ფართის საკუთრების დამადასტურებელი ამონაწერი საჯარო რეესტრიდან.<br>საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი ფართის სარეაბილიტაციო მასალის ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს 2000 ლარს, რომელიც გაიცემა ვაუჩერით. ქვეპროგრამით ისარგებლებენ ქ. ბათუმში 2023 წლის პირველ იანვრამდე რეგისტრირებული პირები, რომელთაც სოციალური მომსახურების სააგენტოდან სარეიტინგო ქულები მინიჭებული აქვთ ქ. ბათუმში. |

## ქვეპროგრამის ფორმა

| ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი: | ქვეპროგრამის დასახელება | პროგრამის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა |
|---|---|---|
| 06 02 11 | შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების ასისტენტით მომსახურება | სოციალური უზრუნველყოფა |

| ქვეპროგრამის განმახორციელებელი: | ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური | ქვეპროგრამის ბიუჯეტი | 2023 წლის დაფინანსება (ლარი) | 2024 წლის დაფინანსება (ლარი) | 2025 წლის დაფინანსება (ლარი) | 2026 წლის დაფინანსება (ლარი) |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | 176 256 | 176 200 | 176 200 | 176 200 |

| | |
|---|---|
| ქვეპროგრამის მიზანი | შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა |
| ქვეპროგრამის აღწერა | შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები, კერძოდ  კი მკვეთრად შეზღუდული სტატუსის მქონე უსინათლოები უმეტესად ვერ ახერხებენ საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიურ ჩართვას. ამ ადამიანებს ხშირად სჭირდებათ სამედიცინო, საყოფაცხოვრებო, სახელმწიფო და სხვა დაწესებულებებში ვიზიტი, რისთვისაც სჭირდებათ დამხმარე პირების (გამცილებლების) მომსახურება. ქვეპროგრამა ითვალისწინებს მკვეთრად შეზღუდული სტატუსის მქონე უსინათლოთა გადაადგილების მიზნით გამცილებლის მომსახურების დაფინანსებას. ასევე ე.წ. ,, ამოსუნთქვის საშუალებას'', ოჯახის წევრებისათვის, რომელიც გულისხმობს გამცილებლების მიერ მომსახურეობის პერიოდში ნაწილობრივ სოციალური მუშაკის ფუნქციების შეთავსებას. საწყის ეტაპზე დაგეგმილია, რომ აღნიშნული სერვისით ისარგებლებს 48 ბენეფიციარი, რომელთაც მოემსახურება რვა ასისტენტი (გამცილებელი). ერთი ასისტენტი მოემსახურება 6 ბენეფიციარს და კვირაში თითოეულს 2-ჯერ ერთი საათის განმავლობაში გაუწევს დახმარებას. ერთი ვიზიტის მომსახურების საფასური იქნება 12 ლარი. შშმ პირთა უფლებების საერთაშორისო კონვენციის 19 მუხლის თანახმად უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება დამოუკიდებელ ცხოვრებაში სრულყოფილ ჩართვას დამოუკიდებელი ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებისა და საკუთარი ცხოვრების კონტროლის გაზრდის მიზნით, რაც შეიძლება მიღწეული იქნას პერსონალური ასისტენტის მომსახურებით. ამ მიზნის მისაღწევად გადამზადებული პერსონალური ასისტენტების მიერ 18 წლის ასაკის ზემოთ იმ შშმ ეტლით მოსარგებლე (პირველ რიგში) და სხვა შშმ პირებს (სულ 12 ), რომლებიც დამოუკიდებელი ცხოვრების წესის დამკვიდრებას ცდილობენ (სწავლობენ, მუშაობენ, ეწევიან სხვადასხვა აქტივობებს (სპორტული, კულტურული) და / ან არიან მარტოხელა ეტლით მოსარგებლე გაეწევათ რეგულარული ასისტირება (თვეში მაქსიმუმ 60 საათის განმავლობაში საჭიროების გათვალისწინებით), როგორც განსაზღვრულია პერსონალური ასისტენტის სტანდარტით, რომელიც მიღებული იქნა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება №01-13/ნ2022 წლის 18 თებერვლის საფუძველზე. ასევე ძალიან აქტუალურია ჩართულობისა და კომუნიკაციის მიზნით სმენადაქვეითებულ ბავშვთა (18 წლამდე) ოჯახის წევრებისათვის ქართული ჟესტური ენის სწავლება. |
| ქვეპროგრამის მოსალოდნელი შუალედური შედეგი | უზრუნველყოფილია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების ქალაქში გადაადგილება და მათი საზოგადოებაში ინტეგრაცია |

| № | მოსალოდნელი შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი | ინდიკატორის მაჩვენებლები | | ცდომილების ალბათობა (%/შესაძლო რისკები - აღწერა) |
|---|---|---|---|---|
| | | მიზნობრივი 2022 წელი | მიზნობრივი 2023 წელი | |
| 1 | ქვეპროგრამით მოსარგებლე ბენეფიციართა რაოდენობა | 102 | 90 | 5% - მომართვიანობის ცვლილება |

| № | ღონისძიების დასახელება | პროდუქტები | | | სულ (ლარი) | მათ შორის: | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | განზომილება | რაოდენობა | ერთეულის საშუალო ფასი | | საბიუჯეტო სახსრები | საკუთარი სახსრები |
| 1 | პერსონალური ასისტენტების მიერ სერვისის მიწოდება შშმ პირებისათვის | ვიზიტი | 8 640 | 14 | 120 960 | 120 960 | |
| 2 | მკვეთრად შეზღუდული სტატუსის მქონე უსინათლო პირების გამცილებლით მომსახურება | პირი | 48 | 1152 | 55 296 | 55 296 | |
| | სულ ქვეპროგრამა | | | | **176 256** | **176 256** | **0** |

| № | დამატებითი ინფორმაცია |
|---|---|
| 1 | ქვეპროგრამით ისარგებლებენ მკვეთრად შეზღუდული სტატუსის მქონე შშმ პირები, რომლებიც რეგისტრირებული არიან ქალაქ ბათუმში 2023 წლის პირველ იანვრამდე.<br>მომსახურების მიღების მსურველისთვის საჭირო დოკუმენტაცია და პირობები: განცხადება, პირადობის მოწმობის ქსეროასლი, ამონაწერი სოციალური მომსახურების სააგენტოდან.<br>გამცილებლის  პოზიციაზე დასაქმების მსურველმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტაცია: პირადობის მოწმობის ქსეროასლი, ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ, საბანკო რეკვიზიტი.<br>ასისტენტი აწარმოებს გადაადგილების ტაბელს, რომელშიც მითითებული იქნება მომსახურების ადგილი, დრო, ბენეფიციარის სახელი, გვარი, მისამართი, ტელეფონი, დანიშნულება, ბენეფიციარის ხელმოწერა.<br>ასისტენტებთან გაფორმდება შრომითი ხელშეკრულებები, ხოლო თანხა გადაერიცხებათ პირად ანგარიშზე წარმოდგენილი ტაბელის შესაბამისად. ასისტენტი შეიძლება იყოს პირი, რომელსაც გავლილი ექნება შესაბამისი ტრენინგი. |